



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №134

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი

14 ნოემბერი, 2018 წ.

**ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს  
შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ  
დებულების დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 4 18 01401064, 31.10.2018) და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№3, 13.10.2018 ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულება **დანართი 1-ის** შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №49 დადგენილების №3 დანართი (განათლების ფაკულტეტის) და №4 დანართი (ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის).

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სასწავლო პროცესების დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს  
2018 წლის 14 ნოემბრის N134 დადგენილებით  
დანართი 1.

**კოდიფიცირებული:**

*(ცვლილებები და დამატებები:  
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის 06-01/09 და  
2021 წლის 25 ნოემბრის N06-01/123 დადგენილებით)*

**ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის  
სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ  
დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

წინამდებარე დებულებით განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს (შემდგომში „სადისერტაციო საბჭო“) შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარის არჩევის, საქმიანობის წესი და დისერტაციის დაცვის პროცედურა.

**მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო**

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.
2. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. მათ გარდა, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში, ამ საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება შევიდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან (ასეთ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება შესაბამისი პირის მოწვევის შესახებ).
3. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე (შემდგომში-თავმჯდომარე), მოადგილე და მდივანი.
4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ ამ საბჭოს შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, სამი წლის ვადით, სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, აირჩევა ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს საქმისწარმოებას, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;

ბ) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად საბჭოს წევრთაგან შერჩეული საბჭოს მოადგილისა და მდივნის კანდიდატურებს;

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებას;

7. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. მოადგილე ასრულებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

8. საბჭოს მდივანს ასევე ღია კენჭისყრით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო, თავმჯდომარის წარდგინებით.

საბჭოს მდივანი:

ა) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;

ბ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;

გ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმისწარმოებასა და საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას;

დ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს ამ დებულებითა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებაში.

### **მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება**

1. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა 2/3-ით.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. სადისერტაციო საბჭო:

ა) ბსუ-ს დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა, სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდების (სათაურის) დამტკიცების შესახებ წარდგინებით მიმართავს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს; *(ამოღებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის 06-01/09 დადგენილებით)*

ბ) ბსუ-ს დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სამეცნიერო ხელმძღვანელების (არაუმეტეს ორისა) დანიშვნის/მოწვევის შესახებ წარდგინებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს.

გ) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენაზე მომზადების და საჯარო დაცვის თაობაზე;

დ) ნიშნავს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებსა და დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღს;

ე) განსაზღვრავს დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;

ვ) დარგობრივი სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე დოქტორანტს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

ზ) ახორციელებს სსიპ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებითა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული „განმახორციელებელი ფაკულტეტების საბჭოების მიერ შექმნილი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის“ უფლებამოსილებებს. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 ნოემბრის N06-01/123 დადგენილებით)*

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. *(დამატება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 ნოემბრის N06-01/123 დადგენილებით)*

#### **მუხლი 4. დარგობრივი სადისერტაციო კომისია**

1. სადისერტაციო ნაშრომის (დისერტაციის) საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით სადისერტაციო საბჭოს მიერ იქმნება დარგობრივი სადისერტაციო კომისია (შემდეგში „დარგობრივი კომისია“).

2. დარგობრივი კომისია შედგება მინიმუმ შვიდი წევრისაგან (როგორც წესი, შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით).

3. დარგობრივ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი (განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით).

4. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები და მთავარი მეცნიერი თანამშრომლები. ასევე შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან (მოიწვევა რექტორის ბრძანებით, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით).

5. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია და ავტორეფერატი (დისერტაციის შემოკლებული ვერსია) გადაეცემათ გასაცნობად საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე.

6. დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

7. თითოეული დარგობრივი კომისია უფლებამოსილია შეაფასოს თვეში მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა.

#### **მუხლი 5. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება, წარდგენა და აპრობაცია**

1. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განისაზღვრება სადისერტაციო ნაშრომის (დისერტაციის) მომზადებისა და წარდგენისათვის შესაბამისი მოთხოვნები. ამავე დებულებით განისაზღვრება დოქტორანტის მიერ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) წესი.

#### **მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა**

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.
2. დისერტაციის საჯარო დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და დარგობრივი კომისიის დასკვნას. კერძოდ:
  - ა) დარგობრივი სადისერტაციო კომისიის მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის შესახებ;
  - ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (პრეზენტაცია 20-30წუთი);
  - გ) მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;
  - დ) შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის ანალიზს;
  - ე) დოქტორანტის პასუხს შემფასებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;
  - ვ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, სამეცნიერო დისკუსიას, აზრის გამოთქმას;
  - ზ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.
  - თ) ფარული კენჭისყრის ოქმის დამტკიცებასა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ გამოსვლას.

#### **მუხლი 7. დისერტაციის შეფასება და დოქტორის ხარისხის მინიჭება**

1. დისერტაციის საჯარო დაცვა სრულდება მისი შეფასებით. შეფასების კრიტერიუმებია:
  - ა) საკვლევი თემის აქტუალობა;
  - ბ) კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;
  - გ) კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;
  - დ) მეცნიერული სიახლე;
  - ე) მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;
  - ვ) შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;
2. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, შემდეგი შეფასებებით:
  - ა) ფრიადი (summacumlaude) – შესანიშნავი ნაშრომი;
  - ბ) ძალიან კარგი (magnacumlaude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
  - გ) კარგი (cumlaude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

3. „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „საშუალო“, „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის შემდეგ.

5. „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტს აცნობს ზეპირად კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, კომისიის ოქმიდან ამონარდის სახით, ხოლო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების მისთვის წერილობით გაგზავნას.

7. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორანტს შესაბამისი დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

## **მუხლი 8. დისერტაციის გამოქვეყნება, დოქტორის დიპლომი და დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა**

დოქტორანტის მიერ დისერტაციის საჯარო დაცვის შემდეგ დისერტაციის გამოქვეყნებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემის, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველები განისაზღვრება ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით.

